# ზოგადი დებულებები და პირობები

წინამდებარე დებულებები და პირობები, აგრეთვე მათში მითითებული ნებისმიერი დოკუმენტები (ერთობლივად-**წესები**), განსაზღვრავენ ორიფლეიმის ბრენდ პარტნიორების წესებს, პრინციპებს, უფლებებს და ვალდებულებებს. თუ ბრენდ პარტნიორი ეთანხმება და იღებს წინამდებარე წესებს, ეს უკანასკნელი, საქართველოს კანონდებლობის შესაბამისად, წარმოადგენს ვალდებულების ხელშეკრულებას ერთის მხრივ:
ბრენდ პარტნიორსა (**"ორიფლეიმის ბრენდ პარტნიორი", "ბრენდ პარტნიორი"**)
და
შპს "ორიფლეიმ ჯორჯიას", რეგისტრაციის მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის გამზ. 61, ს/კოდი 202199459 (**"ორიფლეიმი", "კომპანია" "კომპანია ორიფლეიმი"**) შორის.

წინამდებარე წესების მიღების შემთხვევაში, ორიფლეიმის ბრენდ პარტნიორებს ვაძლევთ რეკომენდაციას, ამობეჭდონ და შეინახონ ამ დოკუმენტის ასლი.

ორიფლეიმი იტოვებს უფლებას, შეიტანოს ცვლილებები წინამდებარე წესებში. წესების ბოლო განახლების თარიღი, შეგიძლიათ, იხილოთ წინამდებარე წესების ბოლოს. წესებში ცვლილებების განხორციელების შესახებ, ბრენდ პარტნიორები, ინფორმირებულნი იქნებიან ისე, როგორც აღწერილია, წინამდებარე წესებში.

## განსაზღვრებები

წინამდებარე პირობებში გამოყენებულია შემდეგი განსაზღვრებები:

**1.1.** ორიფლეიმის ეთიკის კოდექსი და ორიფლეიმის ბრენდ პარტნიორის ქცევის წესები: წესების ის აუცილებელი ნაკრები, რომელიც ორიფლეიმის წარმატების გეგმის შემადგენელი ნაწილია და არეგულირებს ბრენდ პარტნიორების ქცევას ორიფლეიმის კლიენტების და ორიფლეიმის სხვა ბრენდ პარტნიორების მიმართ;

**1.2. ბრენდ პარტნიორი:** ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელსაც უკვე შეუსრულდა 14 წელი და რომელიც დადგენილი წესით დარეგისტრირდა ორიფლეიმში როგორც ბრენდ პარტნიორი (მათ შორის მოიაზრება ონლაინ რეგისტრაციაც) და დაეთანხმა წინამდებარე წესების დეულებებს. ბრენდ პარტნიორი არ არის ორიფლეიმის თანამშრომელი. ნებისმიერ ქმედებას, რომელსაც ბრენდ პარტნიორი განახორციელებს პროდუქციის მიმართ მისი შეძენის შემდეგ, ის ახორციელებს საკუთარი სახელით. ყველა ვალდებულებას რაც დაკავშირებულია ხარჯებთან, რისკებთან, გადასახადებთან და საქართველოს კანონმდებლობის დაცვასთან, ბრენდ პარტნიორი ახორციელებს დამოუკიდებლად.;

**1.3. ორიფლეიმის კატალოგი, კატალოგი**[1]: ქაღალდის ან ელექტრონული ბროშურა, რომელსაც პერიოდულად გამოსცემს კომპანია ორიფლეიმი, რომელიც შეიცავს პროდუქციის შეთავაზებას და რეკომენდირებულ საცალო ფასებს;

---

[1] კომპანია ორიფლეიმის თანამშრომლებსა და ბრენდ პარტნიორებს შორის «კატალოგი» ასევე გამოიყენება როგორც შიდა ტერმინი, როგორც შემოკლებული ცნება «კატალოგის კალენდარული პერიოდი». «კატალოგი» ან «კატალოგის კალენდარული პერიოდი» ეს არის – გარკვეული, 21 დღიანი კალენდარული პერიოდი (იანვარში 28 დღიანი), რომელსაც გააჩნია დაწყების ფიქსირებული დღე (კვირა დღე) და დასრულების ასევე ფიქსირებული დღე (შაბათი). კატალოგის თარიღების დაფიქსირება ყოველი წლის ბოლოს, მომდევნო წლის დასაწყისამდე, ხდება, ახალი წლის კალენდარის შესაბამისად.

კატალოგის დაწყების და დასრულების თარიღების დაფიქსირება აუცილებელია:

ორიფლეიმის პროდუქციაზე შეთავაზების ასორტიმენტისა და ფასების მოქმედების ვადების დასასდგენად

ორიფლეიმის შეძენილ პროდუქციაზე ფასდაკლების გასათვლელად და დასარიცხად

ორიფლეიმის ბრენდ პარტნიორებისათვის მოქმედი სპეციალური პროგრამების ვადების დასადგენად

ორიფლეიმთან მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში მოქმედი ინდივიდუალური მეწარმეებისათვის და თვითდასაქმებულებისთვის, მათ მიერ გამომუშავებული ჯილდოების გაანგარიშება და დარიცხვა.

ბრენდ პარტნიორებისათვის მოქმედი სპეციალური პროგრამების ვადების დასადგენად

სხვადასხვა ბიზნეს-მაჩვენებლების შესაბამისი კრიტერიუმების შესრულების დადგენა, ორიფლეიმის ბრენდ პარტნიორებისათვის გრაკვეული სტატუსების მინიჭების მიზნით

სხვადასხვა ბიზნეს-მაჩვენებლების შესაბამისი კრიტერიუმების შესრულების დადგენა, ორიფლეიმის ბრენდ პარტნიორებისათვის კომპანიის სამოტივაციო ღონისძიებებში მონაწილეობის ნებართვის მისაღებად.

**1.4. კატალოგის მოქმედების პერიოდი**: დროის პერიოდი, რომელიც მითითებულია ყოველი კატალოგის ყდაზე და რომლის განმავლობაშიც მოქმედებს ორიფლეიმის მოცემული კატალოგის შემოთავაზებები;

**1.5. ორიფლეიმის პროდუქცია, პროდუქცია, პროდუქტი**: კოსმეტიკა და თანმხლები საქონელი, აგრეთვე განსაზღვრული საკვები დანამატები, რომლებიც ორიფლეიმის სავაჭრო ნიშნით სარეალიზაციოდ არის შემოთავაზებული; კატალოგში აღწერილია პროდუქციის ძირითადი მახასიათებლები;

**1.6. ორიფლეიმის სავაჭრო ნიშნები:** დასახელება Oriflame/ორიფლეიმი, Oriflame-ის ლოგოტიპი და იმ პროდუქტების ან ხაზის დასახელება, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ, გამოგვაქვს ბაზარზე, ვყიდით, ან ვავრცელებთ;

**1.7. ტერიტორია:** საქართველო

**1.8. პერსონალური მონაცემები**: მონაცემები, რომლებსაც გვაწოდებთ თქვენ, თქვენი, როგორც ორიფლეიმის ბრენდ პარტნიორად რეგისტრაციისას. აგრეთვე, ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია თქვენს შესახებ, რომელიც თქვენ, შესაძლოა პერიოდულად მოგვაწოდოთ ჩვენ.

**1.9. ზედდებული**: ანგარიშ-ფაქტურა/ზედდებული ან ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ბრენდ პარტნიორს გადაეცემა პროდუქცია და რომლშიც მითითებულია გადასაცემი პროდუქციის ჩამონათვალი, პროდუქციის გადაცემის თარიღი, შენაძენის სრული ღირებულება, ბრენდ პარტნიორის ნომერი, რომელიც მას რეგისტრაციისას მიენიჭება (სარეგისტრაციო ნომერი) და სხვა აუცილებელი რეკვიზიტები.

**1.10. საიტი**: ორიფლეიმის ოფიციალური ინტერნეტ გვერდი, რომლის მისამართია www.oriflame.ge

## 2. რეგისტრაცია და რეგისტრაციის შეწყვეტა

2.1. საიტზე რეგისტრაცია ხორციელდება შემდეგ მისამართზე www.oriflame.ge

2.2. შეკვეთის განსათავსებლად, საიტზე რეგისტრაცია სავალდებულოა
2.3. ორიფლეიმი პასუხს არ აგებს ბრენდ პარტნიორის მიერ რეგისტრაციისას მითითებული ინფორმაციის სიზუსტესა და სისრულეზე.

2.4. ნებისმიერი ფიზიკური პირი, ჩაითვლება რეგისტრირებულად, როგორც ორიფლეიმის ბრენდ პარტნიორი, მას შემდეგ, რაც ორიფლეიმი ამ პირისგან მიიღებს განაცხადს და მოანიჭებს მას ბრენდ პარტნიორის ნომერს.

2.5. რეგისტრაციის შემდეგ:

ბრენდ პარტნიორს, წინამდებარე პირობების შესაბამისად, მიეცემა ორიფლეიმის პროდუქციის შეძენის უფლება, და აგრეთვე, ექნება ორიფლეიმის წარმატების გეგმით გათვალისწინებული ყველა უპირატესობებით სარგებლობის უფლება.

ბრენდ პარტნიორი ვალდებული იქნება განუხრელად დაიცვას წინამდებარე პირობები და ასევე მასში ნახსენები ნებისმიერი დოკუმენტით განსაზღვრული წესები. ორიფლეიმმა შესაძლოა დაგაკისროთ ყოველწლიური ადმინისტრაციული საწევრო გადასახადი, რაც წარმოადგენს სასტარტო პაკეტის (იმ დოკუმენტების და სახელმძღვანელოების ნაკრები, რომლებიც ეხმარება ბრენდ პარტნიორს ორიფლეიმთან თანამშრომლობის დაწყებაში) საფასურს, აღნიშნული თანხები მითითებული იქნება ბრენდ პარტნიორის პირველი შეკვეთის შესაბამის ანგარიშ-ფაქტურაში და რომელსაც ის მიიღებს პირველ შეკვეთასთან ერთად.

2.6. თუ ახლად დარეგისტრირებული ბრენდ პარტნიორი, მისი რეგისტრაციიდან 4 კატალოგის განმავლობაში არ განათავსებს არც ერთ შეკვეთას, მისი რეგისტრაცია ანულირდება.

2.7. ბრენდ პარტნიორს, ისევე როგორც როგორც ორიფლეიმის, ნებისმიერ დროს, მიზეზის აუხსნელად, შეუძლია შეწყვიტოს მონაწილეობა, წერილობით შეტყობინების გაგზავნის საშუალებით. ორიფლეიმის მიერ ინიცირებული გადაწყვეტილება ურთიერთთანამშრომლობის შეწყვეტის შესახებ, ძალაში შედის დაუყოვნებლივ.

2.8. ბრენდ პარტნიორი ვალდებულებას იღებს, არ გაანდოს მესამე პირებს მის მიერ რეგისტრაციისას მითითებული პაროლი. მისი პაროლის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ეჭვის, ან მისი მესამე პირების მიერ არასანქცირებული გამოყენების რისკის არსებობის შემთხვევაში, ბრენდ პარტნიორი ვალდებულებას იღებს, ამის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს ორიფლეიმის და მისი/ბრენდ პარტნიორის მეილიდან შეტყობინება გააგზავნოს შემდეგ ელექტრონულ მისამართზე info@oriflame.ge

ბრენდ პარტნიორის მიერ ორიფლეიმისთვის მომხმარებლის სახელის და პაროლის კომპრომეტაციის შესახებ შეტყობინების გაგზავნამდე, ყველა ქმედება, რომელიც იწარმოება ამ ბრენდ პარტნიორის პირად კაბინეტში ითვლება მის საკუთარ ქმედებებად.

## 3. პროდუქციის შეძენა

### A შეკვეთის განთავსება

3.1. ბრენდ პარტნიორს, შეუძლია შეიძინოს ორიფლეიმის საიტზე განთავსებული პროდუქცია.
3.2. შეკვეთა ითვლება განთავსებულად შემდეგი ნაბიჯების შესრულების

შემდეგ:

- ონლაინ შეკვეთის შემთხვევაში, ბრენდ პარტნიორმა, ოფციით "დაამატე კალათაში", აირჩია პროდუქცია, რომლის შეძენაც სურს; ამასთანავე, ბრენდ პარტნიორს ნებისმიერ დროს, შეუძლია გადახედოს და შეცვალოს კალათის შიგთავსი, შეცვალოს პროდუქტების რაოდენობა, ამოიღოს რომელიმე პროდუქტი, ან სულ დააცარიელოს იგი.

- ბრენდ პარტნიორმა ორიფლეიმს წარუდგინა პროდუქციის მოსაწოდებლად აუცილებელ პირადი მონაცემები და თანხმობა განაცხადა, რომ ორიფლეიმს შეუძლია ეს მონაცემები, გამოიყენოს იმ მიზნებისათვის, რომლებიც აღწერილია ორიფლეიმის კონფიდენციალობის პოლიტიკაში

- ბრენდ პარტნიორმა აირჩია პროდუქციის ღირებულების გადახდის და მისი მიწოდების სასურველი ფორმა;

3.3 ბრენდ პარტნიორის მიერ ონლაინ შეკვეთის განთავსების შემდეგ, მისი ვებ-გვერდზე შეცვლა შეუძლებელია. ბრენდ პარტნიორს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია ვებ-გვერდზე სრულად გააუქმოს შეკვეთა და განათავსოს ახალი, თუკი ეს შეკვეთა ჯერ კიდვ არ არის ფორმირებული (აწყობილი). წინააღმდეგ შემთხვევაში, საჭიროა კომპანიის საოპერაციო განყოფილებასთან დაკავშირება შემდეგ ტელეფონის ნომერზე: + 995 322911164, ან შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: info@oriflame.ge

3.4 შეკვეთის მიღების შემდეგ, ორიფლეიმი ბრენდ პარტნიორს, ელექტრონული ფოსტით უგზავნის დასტურს.

3.5 შეკვეთილ პროდუქციასთან ერთად, ბრენდ პარტნიორი მიიღებს ზედდებულს შეკვეთილი პროდუქციის ჩამონათვალით. ამასთანავე, პირველი შეკვეთის მიღებისას ბრენდ პარტნიორი ზედდებულის (ან ანალოგიური დოკუმენტის) ხელმოწერით ადასტურებს შეკვეთის მიღებას, ან ატყობინებს შეკვეთის მიღების უნიკალურ კოდს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

3.6 ონლაინ-შეკვეთის განთავსების დროს აუცილებელად გასათვალისწინებელია, რომ:
- ბრენდ პარტნიორს ავტომატურად არ გაეგზავნება წინამდებარე წესების ეგზემპლარი, ან ბრენდ პარტნიორად რეგისტრაციის გავლის პროცედურასთან დაკავშირებულ რაიმე მსგავსი ხელშეკრულება.
- ორიფლეიმი უერთდება, წინამდებარე პირობების მე-10 პუნქტში აღწერილ ქცევის კოდექსს.

3.7 განხორციელებული და გადახდილი შეკვეთის გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ, მე-4 პუნქტში აღწერილი წესით.

3.8 შეკვეთის განთავსება შესაძლებელია დღე-ღამის ნებისმიერ დროს, იმ მცირედი შეზღუდვების გარდა (კატალოგის დახურვის პერიოდში), როდესაც მიმდინარეობს კატალოგის განახლება.

3.9 ნებისმიერ დროს, ყველა პროდუქტი, ხელმისაწვდომი არ არის. თუ პროდუქტი, თქვენს მიერ შეკვეთის განთავსების მომენტში, საწყობში არ არის, ჩვენ მივიღებთ ყველა ზომას, იმისათვის, რომ თქვენ, შეკვეთის დასრულებამდე, ინფორმირებული იყოთ ამის თაობაზე და გქონდეთ, შეკვეთის შეცვლის, ან გაუქმების შესაძლებლობა.

3.10 შესაძლოა კატალოგი, პერიოდულად მცირე ხნით, სხვადასხვა ტექნიკური მიზეზების გამო, ხელმისაწვდომი არ აღმოჩნდეს. ასეთი შეზღუდვების შემთხვევაში, ორიფლეიმი პასუხის არ აგებს კლიენტების ან სხვა მომხმარებლების წინაშე და უარყოფს მათ პრტენზიებს.

## B. ფასი და გადახდა

3.11 ორიფლეიმმა, ბრენდ პარტნიორს, გამონაკლის შემთხვევაში, შესაძლოა დართოს ნება, სპეციალური ონლაინ-ინსტრუმენტების მეშვეობით განათავსოს სხვისი შეკვეთა. ეს შესაძლებელი იქნება, მხოლოდ მათი (ბრენდ პარტნიორების) გარკვევით/ცხადად გამოხატული თანხმობის საფუძველზე. ამ ინსტრუმენტის გამოყენების შემთხვევაში, ბრენდ პარტნიორი, ერთპიროვნულად აგებს პასუხს ნებისმიერ პრეტენზიაზე, რაც დაკავშირებული იქნება არასანქცირებული შეკვეთის განთავსებასთან, და ზოგადად, კონფიდენციალობის დაცვის ნებისმიერ დარღვევასთან, და ამასთანავე, ნებისმიერ ხარჯებზე, რომლებიც ასეთ შეკვეთასთან დაკავშირებით შესაძლოა წარმოეშვას როგორც ორიფლეიმს, ასევე იმ პირს, რომლისთვისაც ბრენდ პარტნიორმა განათავსა შეკვეთა.

3.12 თუ კატალოგში სხვა რამ არ არის მითითებული, მასში ასახული ფასი, ეს არის პროდუქციის საცალო ფასი შეკვეთის განთავსების მომენტისათვის. ყველა ფასი მითითებულია ადგილობრივ ვალუტაში და მოიცავს დღგ-ს.

3.13 ორიფლეიმი იტოვებს უფლებას, თავისი შეხედულებისამებრ, ნებისმიერ დროს შეცვალოს ფასები. წინასწარი შეტყობინება არ მოითხოვება.

3.14 ფასი არ შეიცავს გადატვირთვის, მიტანის ან სხვა გადასახადსა და მოსაკრებელს, რომლებიც ცალსახად არის მითითებული შეკვეთის განთავსებისას, როგორც დამატებითი საფასური და რომელებიც, განსხვავებული იქნება, თქვენს მიერ არჩეული მიწოდების პირობების და ფორმის შესაბამისად.

3.15 ორიფლეიმმა, შესაძლოა, პერიოდულად გააკეთოს ფასდაკლება. ფასების გათვლებთან დაკავშირებით, თქვენ შეგიძლიათ ნებისმიერ დროს მიმართოთ საოპერაციო განყოფილებას, შემდეგ ტელეფონის ნომერზე: + 995 322911164, ან შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: info@oriflame.ge

3.16 შეკვეთის საფასურის გადახდა შესაძლებელია საბანკო გადარიცხვით, მომენტალური გადახდის აპარატებით, აგრეთვე, ჩვენს საიტზე-ონლაინ გადახდებით და სხვა ნებისმიერი მეთოდით. ინფორმაცია ამის თაობაზე ბრენდ პარტნიორებს მიეწოდებათ ელექტრონული ფოსტით, სმს შეტყობინებით, ორიფლეიმის საიტზე www.oriflame.ge ბრენდ პარტნიორებისათვის განკუთვნილ განყოფილებაში ინფორმაციის განთავსებით და სხვა. ორიფლეიმის უფლება აქვს გასცეს პროდუქცია გადახდის გადავადებით (კომერციული კრედიტით). ამ შემთხვევაში ბრენდ პარტნიორი პროდუქციის საფასურს იხდის შესაბამის ზედდებულში მითითებულ ვადებში. ზედდებულში მითითებული თარიღი, გადახდის ვალდებულების ძალაში შესვლის თარიღია (თუ მასში, გადახდის ვალდებულების სხვა თარიღი არ არის დაფიქსირებული)

3.17 ორიფლეიმი, ცალმხრივად იტოვებს უფლებას, უარი უთხრას ბრენდ პარტნიორს პროდუქციის გადავადებით მიყიდვის თაობაზე.

3.18 პროდუქციის გადახდის გადავადებით მიყიდვის წესებს, ადგენს ორიფლეიმი და უფლება აქვს ცალმხრივად შეცვალოს ეს წესები. ამასთანავე, ასეთი ცვლილებების შესახებ ორიფლეიმი წინასწარ ატყობინებს ბრენდ პარტნიორებს ელექტრონული ფოსტით, სმს შეტყობინებით, ორიფლეიმის საიტზე www.oriflame.ge ბრენდ პარტნიორებისათვის განკუთვნილ განყოფილებაში ინფორმაციის განთავსების გზით და სხვა

3.19 ორიფლეიმი, ბრენდ პარტნიორებს, ინფორმაციას გასაყიდი პროდუქციის ასორტიმენტის შესახებ, სასაქონლო კატალოგების, ბუკლეტების, საინფორმაციო ფურცლების და სხვა საშუალებებით აწოდებს. ინფორმაციის მიწოდების რეგულარულობას და წესს თავისი შეხედულებისამებრ, ადგენს ორიფლეიმი. ბრენდ პარტნიორების ინფორმირების მიზნებისათვის, აღნიშნული პუნქტში ნახსენები სასაქონლო კატალოგების, ბუკლეტების და საინფორმაციო ფურცლების ფასებს ადგენს ორიფლეიმი და მათი ღირებულება გასაყიდი პროდუქციის ფასსში შედის, ამ შემთხვევაში ბრენდ პარტნიორებს შორის მათი გავრცელება ხორციელდება დამატებითი საფასურის გარეშე

3.20 თუ ბრენდ პარტნიორი, შეძენილი პროდუქციის საფსაურს არ გადაიხდის დადგენილ ვადაში, ორიფლეიმი უფლებამოსილია, ბრენდ პარტნიორის დავალიანება გადასცეს ან დაუთმოს მესამე პირს

3.21 გადახდის საშუალებებისა და გადავადებით პროდუქციის შეძენის პირობების შესახებ ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ, მიმართოთ კიმპანიის საოპერაციო განყოფილებას შემდეგ ტელეფონის ნომერზე: + 995 322911164, ან შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: info@oriflame.ge

## C. მიწოდება და რისკების გადაცემა

3.22. შეკვეთილი პროდუქტების მიწოდება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში.

3.23. შეკვეთის მიწოდების ადგილს ირჩევს და მიუთითებს ბრენდ პარტნიორი შეკვეთის განთავსებისას.

3.24. ორიფლეიმი ვალდებულებას იღებს, ბრენდ პარტნიორის შეკვეთა დაამუშაოს და მიაწოდოს მას, ორიფლეიმის მხრიდან თანხმობის მიღებიდან უმოკლეს ვადაში, მაგრამ, არაუგვიანეს 30 დღისა. ორიფლეიმი პასუხს არ აგებს შეკვეთის მიწოდების შეფერხებაზე, თუ კი ეს გამოწვეულია მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით.

3.25. უფლებები პროდუქციაზე, მისი შემთხვევით განადგურების/დაკარგვის რისკები, გადადის ბრენდ პარტნიორზე მას შემდეგ რაც იგი მიიღებს და ხელისმოწერით დაადასტურებს პროდუქციის მიღების ფაქტს ზედდებულში, ან ნებისმიერ სხვა დოკუმენტში, რომელიც ადასტურებს შეკვეთის მიღებას, ან შეკვეთის მიღების დამადასტურებელი უნიკალური კოდის შეტყობინებით ასეთის არსებობის შემთხვევაში.

3.26. ორიფლეიმი არ აგებს პასუხს პროდუქციის მოწოდების შეუძლებლობის, მისი არასწორად ან დაგვიანებით მიწოდების გამო, თუკი ეს გამოწვეული იქნება თქვენს მიერ არასწორი, ან არასრულად მოწოდებული პერსონალური მონაცემების გამო, ასევე მიწოდების მისამართზე მიმღების არყოფნის შემთხვევით.

## D. ორიფლეიმის პროდუქციის შესაბამისობა

3.27 ორიფლეიმი გარანტიას გაძლევთ, რომ ორიფლეიმის პროდუქცია იწარმოება ევროკავშირის და საბაჟო კავშირის კანონმდებლობის მოთხოვნების და აგრეთვე, ორიფლეიმის ეთიკის კოდექსის შესაბამისად.

## 4. შეკვეთაზე უარის თქმის უფლება.

4.1. ორიფლეიმი მკაცრად იცავს პროდუქციის დაბრუნების წესებს, რომლებიც მოქმედებს საქართველოს ტერიტორიაზე (დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. პ. 4.3.)

4.2. შეკვეთის მიღებისას, ბრენდ პარტნიორმა უნდა შეამოწმოს იგი და დარწმუნდეს რომ, ყველა პროდუქტი დაუზიანებელია. ბრენდ პარტნიორი, ან ის პირი, რომელიც ბრენდ პარტნიორის სახელით იღებს პროდუქციას, ვალდებულია დაზიანების/დეფექტის აღმოჩენისთანავე, დაუყოვნებლივ აცნობოს კომპანიის საოპერაციო განყოფილებას და პრეტენზია წაუყენოს მას, დაზიანების/დეფექტის აღწერილობით. ამასთანავე მიუთითოს რა სურს: დაზიანებული პროდუქტის ანალოგიურით შეცვლა, თუ პროდუქტის დაბრუნება, მისი შესაბამისი ღირებულების ანაზღაურებით. პრეტენზიები მიიღება სილამაზის ცენტრში ან ონლაინ, კომპანიის საიტზე www.oriflame.ge

## 4.3. დაბრუნების უფლება და ანაზღაურება.

4.3.1. ბრენდ პარტნიორს შეუძლია, მიზეზის ახსნის გარეშე გააუქმოს შეკვეთა. რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ბრენდ პარტნიორმა გადაიფიქრა, ან სხვა ნებისმიერი მიზეზის გამო

გადაწყვიტა, რომ აღარ სურს პროდუქციის მიღება, მას შეუძლია, აცნობოს ორიფლეიმს ამის შესახებ (ე.ი. გააუქმოს შეკვეთა). ასეთ შემთხვევაში ორიფლეიმი დაუბრუნებს მას შეკვეთის გადახდილ საფასურს. ამასთანავე ორიფლეიმს უფლება აქვს დაუკავოს ბრენდ პარტნიორს ყველა ის დანახარჯი, რაც მან გასწია აღნიშნული შეკვეთის აწყობასა და ტრანსპორტირებაზე ბრენდ პარტნიორამდე და უკან, ორიფლეიმამდე.

4.3.2. ბრენდ პარტნიორს, ნებისმიერ დროს (მათ შორის ორიფლეიმიდან ელექტრონული ფოსტით დასტურის მიღების შემდეგაც), შეუძლია შეკვეთის გაუქმება 4.3.1. პუნქტში მითითებული დანახარჯების გარეშე, თუკი ის განაცხადს შეკვეთის გაუქმებაზე, გააკეთებს შეკვეთის აწყობის დაწყებამდე.

4.3.3. შეკვეთის გასაუქმებლად, ბრენდ პარტნიორს შეუძლია მიმართოს საოპერაციო განყოფილებას შემდეგ ნომერზე: +995 322 2911064 ან შემდეგ ელექტრონულ მისამართზე info@oriflame.ge. ბრენდ პარტნიორისგან ორიფლეიმში შესაბამისი განაცხდის მიღების შემდეგ, შეკვეთა გაუქმებულად ითვლება. იგი, ასევე გაუქმებულად ითვლება, ორიფლეიმის საოპერაციო განყოფილებაში ბრენდ პარტნიორისგან მიღებული შესაბამისი სატელეფონო ზარის დაფიქსირების შემდეგ.

4.3.4. პროდუქციის დაბრუნების შემდეგ, ბრენდ პარტნიორი სრულად მიიღებს მის მიერ პროდუქციაში გადახდილ თანხას. ორიფლეიმი თანხას, უმოკლეს ვადაში აანაზღაურებს, ა) ბრენდ პარტნიორის მიერ პროდუქციის დაბრუნებიდან 5 კალენდარულ დღეში, ან ბ) ბრენდ პარტნიორისგან სათანადო შეტყობინების გამოგზავნიდან 5 კალენდარულ დღეში, თუ პროდუქცია საწყობიდან გადატვირთული არ არის.
4.3.5. თუ ბრენდ პარტნიორი, პროდუქციას აბრუნებს დეფექტის ან აღწერილობის შეუსაბამობის გამო, ორიფლეიმი სრულად ააზღაურებს მის ღირებულებას.

4.3.6. ორიფლეიმი ბრენდ პარტნიორს, სრულად დაუბრუნებს თანხას. დაბრუნება განხორციელდება ბრენდ პარტნიორის განაცხადის შესაბამისად: წინასწრგადახდილი თანხების ანგარიშზე, საბანკო ანგარიშზე, საკრედიტო/სადებეტო ბარათზე, ან გადახდის სხვა საშუალებით.

4.3.7. თუ ბრენდ პარტნიორს პროდუქცია უკვე მიეწოდა, დაბრუნება შესაძლებელია ბრენდ პარტნიორის მიერ შემდეგი წესების დაცვის შემთხვევაში:

4.3.7.1. ბრენდ პარტნიორმა, ორიფლეიმს ის უნდა დაუბრუნოს გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, მაგრამ შეკვეთის მიღებიდან არა უგვიანეს 7 დღისა.

4.3.7.2. პროდუქცია არ არის დაზიანებული და შეესაბამება აღწერილობას (წინააღმდეგ შემთხვევაში იხ. უნქტი 4.3.5.).

4.3.7.3. ბრენდ პარტნიორი პასუხისმგებელია პროდუქციის დაბრუნებასთან დაკავშირებულ პრიდაპირ დანახარჯებზე;

ბრენდ პარტნიორი ვალდებულია შეინახოს პროდუქცია და მოუფრთხილდეს მას, პროდუქციის კომპანია ორიფლეიმში დაბრუნებამდე.

4.3.8. წინამდებარე წესების თანახმად, ორიფლეიმი პასუხისმგებელია პროდუქციის მიწოდებაზე. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ყოველთვის დაცული იქნება ბრენდ პარტნიორის, როგორც მყიდველის უფლება დეფექტური, ან იმ პროდუქციასთან მიმართებაში, რომელიც მის აღწერილობას არ შეესაბამება.

ამასთანავე, ორიფლეიმი გარანტიას იძლევა ორიფლეიმის სავაჭრო მარკის პროდუქტების ხარისხზე და ადასტურებს, რომ მათ აწარმოებს ორიფლეიმი, ან იწარმოება ორიფლეიმის შეკვეთით, ხარისხის ყველაზე მაღალი სტანდარტების შესაბამისად.

## 5. ორიფლეიმის ბრენდ პარტნიორის ვალდებულებები

5.1. ორიფლეიმის ბრენდ პარტნიორები ყიდულობენ და შეუძლიათ, თავისი სახელით და თავის ხარჯზე გაყიდონ ორიფლეიმის პროდუქცია. თუ ბრენდ პარტნიორი გადაწყვეტს ორიფლეიმის პროდუქციით ვაჭრობას, ასეთ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ ბრენდ პარტნიორი მოქმედებს როგორც დამოუკიდბელი პირი (ინდივიდუალური მეწარმე) და არა როგორც ორიფლეიმის აგენტი ან თანამშრომელი. ბრენდ პარტნიორი, არ არის უფლებამოსილი, აწარმოოს მოლაპარაკებები, შეიძინოს, გაყიდოს ან სხვა ზოგად პირობებზე დადოს ხელშეკრულებები ორიფლეიმის (ან ორიფლეიმის ჯგუფში შემავალი ნებისმიერი სხვა კომპანიის) სახელით ან დავალებით.

5.2. თუ, ბრენდ პარტნიორი გადაწყვეტს ორიფლეიმის პროდუქციით ვაჭრობას, ამ შემთხვევაში ბრენდ პარტნიორმა უნდა მიიღოს ყველა სავალდებულო ნებართვა, და განახორციელოს ყველა სახის რეგისტრაცია რაც აუცილებელია სამეწარმეო საქმიანობისათვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მათ შორის, პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან (იხ. პუნქტი 5.6.) და საგადასახადო აღრიცხვასთან დაკავშირებული რეგისტრაციები. კანონმდებლობის შესაბამისად, ბრენდ პარტნიორი, ერთპიროვნულად აგებს პასუხს ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებელის და ბაჟის აღრიცხვასა და გადახდაზე, რაც დაკავშირებულია ასეთი ტიპის საქმიანობასთან.

5.3. ორიფლეიმისთვის დასაშვებია, ბრენდ პარტნიორის მხრიდან პროდუქციის დაბრუნების და შეცვლის შესაძლებლობა, მის მიერ საკუთარი სახელით პროდუქციის შეძენის შემთხვევაში. იმ შემთხვევაში, როდესაც პროდუქცია შეძენილია სხვა ბრენდ პარტნიორის სახელით, მისი დაბრუნება შეუძლია მხოლოდ იმ ბრენდ პარტნიორს, ვისი სახელითაც არის ის შეძენილი (იხ, პუნქტი 3.11.)

5.4. ბრენდ პარტნიორმა უნდა დაიცვას ორიფლეიმის რეპუტაცია და იმიჯი. ბრენდ პარტნიორი ვალდებულებას იღებს, არ გააკეთოს არანაირი განცხადებები და არ მოიმოქმედოს არაფერი, რაც ზიანს მიაყენებს კომპანია ორიფლეიმს და მის პროდუქციას. ბრენდ პარტნიორმა უნდა მართოს საკუთარი ბიზნესი, საქართველოს კანონმდებლობისა და ეთიკის ნორმების შესაბამისად და ორიფლეიმის პროდუქციის ან/და ორიფლეიმის შესახებ, არ გააკეთოს არანაირი მცდარი, გადაჭარბებული განცხადებები, რომლებსაც შეუძლიათ შეცდომაში შეყვანა.

5.5. ბრენდ პარტნიორი აღიარებს, რომ ორიფლეიმის სავაჭრო ნიშანი, მისი საფირმო დასახელება და ლოგოტიპი, სხვა, ინტელექტუალური საკუთრებით დაცული და დაუცველი ობიექტები არის კომპანია ორიფლეიმის საკუთრება და ეთანახმება, არავითარ შემთხვევაში არ დაარღვიოს იგი.

5.6. ორიფლეიმის პროდუქციის წარდგენისას, ბრენდ პარტნიორი ვალდებულია მკაცრად დაიცვას
ორიფლეიმის ეთიკის კოდექსი და ორიფლეიმის ბრენდ პარტნიორის ქცევის წესები.

ბრენდ პარტნიორს შეუძლია შეაგროვოს, ჩაიწეროს, შეინახოს და განაახლოს მისი მყიდველების პირადი ინფორმაცია (ე.ი ნებისმიერი სახის ის ინფორმაცია ფიზიკური პირის შესახებ რომელიც, შესაძლოა, გამოყენებულ იქნას ამ პირის იდენტიფიცირებისათვის). ამიტომ, ბრენდ პარტნიორი ვალდებულია დაიცვას პერსონალურ მონაცემთა და კონფიდენციალობის კანონი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5.7. კერძოდ, ბრენდ პარტნიორი, თავად იღებს კლიენტების პირადი ინფორმაციის დაცვისათვის საჭირო უსაფრთხოების შესაბამის ტექნიკურ და ორგანიზაციულ ზომებს, იმისთვის, რომ თავიდან იქნას აცილებული ამ ინფორმაციის, შემთხვევით ან უკანონონდ განადგურება, შეცვლა, არასანქცირებული გამხელა ან წვდომა. მაგალითად, როდესაც დამუშავება მოითხოვს მონაცემთა გადაცემას ქსელის მეშვეობით ან, სხვა რამ.

ტექნიკური განვითარების დონისა და მასზე დანახარჯების გათვალისწინებით, ეს ზომები უნდა უზრუნველყოფდეს, მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული რისკებისა და

პერსონალური ინფორმაციის უსაფთრთხოების შესაბამის დონეს.

5.8. ორიფლეიმი პასუხს არ აგებს, ნებისმიერ ჯარიმაზე, ხარჯებზე, მოსაკრებლებზე და ზოგადად ნებისმიერ დანახარზე, რომელიც ბრენდ პარტნიორს შესაძლოა, წარმოეშვას მოქმედი კანონმდებლობის (მათ შორის პერსონალური მონაცემებისა და კონფიდენციალობის დაცვის) დარღვევის გამო.

5.9. თუ ბრენდ პარტნიორს სურს მოიზიდოს სხვა პირები, იმისათვის რომ ისინიც გახდნენ ბრენდ პარტნიორები, მას შეუძლია მოიპოვოს გარკვეული პირადი ინფორმაცია, უშუალოდ ასეთი პირისაგან. ამასთანვე, ბრენდ პარტნიორი ვალდებულია ზედმიწევნით დაიცვას ორიფლეიმის მიერ დადგენილი პროცედურები 5.11..ბრენდ პარტნიორს, არანაირ გარემოებაში, არა აქვს ორიფლეიმის სახელით, საინფორმაციო, სარეკლამო ან/და ნებისმიერი სხვა სახის შეტყობინების გაგზავნის უფლება. პარტნიორი ვალდებულია აუნაზღაუროს ორიფლეიმის ყველა ზარალი, რომელიც შესაძლოა ორიფლეიმმა განიცადოს პარტნიორის მიერ მესამე პირების პერსონალური და სხვა კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენების გამო მესამე პირების მიერ პრეტენზიის წაყენების შემთხვევაში.

## 6. ორიფლეიმის ვალდებულებები

6.1. ორიფლეიმი ბრენდ პარტნიორს, მიაწოდებს საკუთარი მოხმარებისათვის, ან მისი მყიდველისთვის შეკვეთილ ნებისმიერ პროდუქტს, თუ იგი ხელმისაწვდომია.

6.2. ორიფლეიმი არ არის პასუხიმგებელი იმაზე, თუ პროდუქცია ხელმისაწვდომი არ არის (არ არის საწყობში).

## 7. მონაწილეობის შეწყვეტა

7.1 ორიფლეიმს შეუძლია შეწყვიტოს ბრენდ პარტნიორის მონაწილეობა, შემდეგი გარემოებებიდან, ნებისმიერი ერთ-ერთის დადგომისთანავე:

- თუ, ბრენდ პარტნიორი გააკეთებს რეალობასთან შეუსაბამო რაიმე განცხადებას ორიფლეიმის პროდუქციასთნ დაკავშირებით ან ორიფლეიმში წარმოადგენს არსებითად არასწორ/მცდარ პერსონალურ მონაცემებს;

- ორიფლეიმის წინაშე ბრენდ პარტნიორის დავალიანების არსებობის შემთხვევაში;

- ბრენდ პარტნიორის მხრიდან, წინამდებარე პირობების ნებისმიერი დებულების დარღვევის შემთხვევაში;

- ბრენდ პარტნიორის მხრიდან, წინამდებარე პირობების ნებისმიერი დებულების (აქ ჩამოთვლილი დოკუმენტების ჩათვლით) დარღვევის, მათ შორის ორიფლეიმის ეთიკური კოდექსის დარღვევის, ან სხვა შემთხვევაში.

7.2 ბრენდ პარტნიორის რეგისტრაციის ვადა ამოიწურება თუ მისი მხრიდან არ განთავსდა შეკვეთა, რეგისტრაციისას მოქმედი კატალოგის შემდეგ ზედიზედ, 4 კატალოგური პერიოდის განმავლობაში, ან მის მიერ ბოლო შეკვეთის განთავსების შემდეგ ზედიზედ 17 კატალოგური პერიოდის განმავლობაში, ან პარტნიორის განცხადების საფუძველზე, იმის მიხედვით, თუ რომელი გარემოება დადგება პირველი.

## 8. საჩივრების განხილვა

ნებისმიერი საჩივარი, კითხვა და მოთხოვნა, შეგიძლიათ გააგზავნოთ ორიფლეიმის საოპერაციო განყოფილებაში შემდეგ ელექტრონულ მისამართზე info@oriflame.ge, ან დარეკოთ შემდეგ ტელეფონის ნომერზე: 995 32 2911064.

## 9. კონფიდენციალობა

9.1. ნებისმიერი კომერციული (ტრენინგების მასალები, ინფორმაცია მარკეტინგული გეგმების, ბიზნეს შესაზლებლობების შესახებ და ა.შ.) ან სხვა სახის ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულია **ორიფლეიმის** მხრიდან ან სხვა ნებისმიერი გზით ცნობილი გახდა ბრენდ პარტნიორისათვის წინამდებარე წესების შესრულებისას, თუ მას კავშირი აქვს **ორიფლეიმის** ან **ორიფლეიმის** კომპანიების ჯგუფის კომერციულ ოპერაციებთან, ან მათ საწარმოო პროცესთან და **ორიფლეიმის** მხრიდან არ არის მიწოდებული როგორც ბრენდ პარტნიორებსი გასავრცელებელი ინფორმაცია, უდაოდ ითვლება კონფიდენციალურად (შემდგომში – კონფიდენციალური ინფორმაცია) და ბრენდ პარტნიორს არა აქვს უფლება გააჟღეროს ან გამოიყენოს იგი **ორიფლეიმის** წერილობითი თანხმობის გარეშე.

9.2. წინამდებარე დოკუმენტის, მე-9 მუხლით გათვალისწინებული კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება, ძალაში რჩება ბრენდ პარტნიორსა და ორიფლეიმის შორის ამავე დოკუმენტის მე-7 მუხლის თანახმად ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგაც. თუ მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებით არ არის დადგენილი რაიმე სახის აკრძალვები ან შეზღუდვები, ბრენდ პარტნიორის მიერ, ორიფლეიმთან ურთიერთობის შეწყვეტიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში, მესამე პირებისათვის, კონფიდენციალური ინფორმაციის გადაცემა/გამოქვეყნება, ან სხვა სახით გასაჯაროვება დასაშვებია მხოლოდ ორიფლეიმს წერილობითი ნებართვით. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მისი მიწოდება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, აუცილებელი ხდება სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოების მოთხოვნის საფუძველზე.

9.3. კონფიდენციალური ინფორმაციის გადაცამასთან დაკავშირებული შეზღუდვები, არ ვრცელდება საყოველთაოდ ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე, ან იმ ინფორმაციაზე, რომელიც ბრენდ პარტნიორმა, თავდაპირველად მიიღო არა ორიფლეიმის მხრიდან, არამედ სხვა წყაროებიდან.

## 10. ეთიკური კოდექსი

კომპანია ორიფლეიმი მკაცრად იცავს ორიფლეიმის ეთიკურ კოდექსს და თავისი ბრენდ პარტნიორებისგანაც ასევე ითხოვს ამ კოდექსის დებულებების მკაცრად დაცვას.

## 11. შეცდომები და გასწორება

მიუხედავად იმისა, რომ, ორიფლეიმის ძალისხმევა მიმართულია იმისაკენ, რომ ორიფლეიმის საიტზე მოცემული ინფორმაცია, უტყუარი და აქტუალური იყოს, ორიფლეიმი ვერ იძლევა გარანტიას, რომ საიტზე არ იქნება შეცდომები. მონაცემების საიტზე შეტანისას დაშვებული შეცდომების ან ტექნიკური პრობლემების გამო, ზოგჯერ შესაძლოა ინფორმაცია არაზუსტი აღმოჩნდეს. რიფლეიმი ტოვებს, ორიფლეიმის საიტზე შესაძლო შეცდომების გასწორების უფლებას (მათ შორის ინფორმაცია ფასების, პროდუქციის ან მომსახურების ტიპების შესახებ) და ამასთანავე, ორიფლეიმი პასუხს არ აგებს ასეთი შეცდომების გამო. ორიფლეიმი ასევე იტოვებს უფლებას, ნებისმიერ დროს, დავაზუსტოთ და/ან შევცვალოთ საიტის მახასიათებლები, ფუნქციონალურობა და შინაარსი. თუ, ბრენდ პარტნიორი საიტზე, შეამჩნევს ნებისმიერ არაზუსტ ინფორმაციას ან აღწერილობას, რომელიც მისი აზრით მცდარია, მას შეუძლია მიმართოს საოპერაციო განყოფილებას.

## 12. ბმულები

ორიფლეიმს შეუძლია უზრუნველყოს მესამე მხარის ვებ-საიტებზე ან სხვა ბმულებზე წვდომა. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ორიფლეიმი იწონებს მათზე განთავსებულ ნებისმიერ ინფორმაციას, პროდუქტს, ან მომსახურებას. რიფლეიმი არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერ ინტერნეტ ბმულის საქმიანობაზე, ასევე იმ ვებ-გვერდების საქმიანობაზე, რომელსაც ეს ბმული მიმართავს ან ხელმისაწვდომია მათი მეშვეობით. რიფლეიმი მოგმართავთ თხოვნით, აცნობოთ ამ ვებ-გვერდებზე რაიმე შეცდომების ან შეუსაბამო მასალების აღმოჩენის შემთხვევაში.

## 13. ზოგადი დებულებები

13.1. წინამდებარე პირობები, რეგულირედება საქართველოს კანონმდებლობით და ამ პირობებთან დაკავშირებით წარმოქმნილი ნებისმიერი დავა, გადაწყდება მხოლოდ საქართველოს კომპეტენტურ სასამართლოებში.

13.2. წინამდებარე პირობების, რომელიმე დებულების, ბათილად ცნობის შემთხვევაში, ბათლობა, პირობების სხვა დანარჩენ დებულებებს არ ეხება.

13.3. რიფლეიმი იტოვებს უფლებას, შეცვალოს წინამდებარე პირობები. ნებისმიერი ცვლილება, ან განახლება, ძალაშია მათი გამოქვეყნებისთანავე საიტზე www.oriflame.ge

13.4. ნებისმიერი ასეთი ცვლილება, მიღებულად ითვლება, თუ ბრენდ პარტნიორი, მათი ძალაში შესვლის შემდეგ, განაგრძობს პროდუქციის შეკვეთას.

13.5. ორიფლეიმს უფლება აქვს ბრენდ პარტნიორს გაუგზავნოს შეტყობინება, გაფრთხილება, და ელექტრონული წერილები. ბრენდ პარტნიორს, მომხმარებლის პარამეტრებში შესვლით, ნებისმიერ დროს შეუძლია განაახლოს/შეარჩიოს მისთვის სასურველი მარკეტინგული შეტყობინებები. ამ წესების მიღებით, ბრენდ პარტნიორი ეთანხმება იმას, რომ ორიფლეიმი ბრენდ პარტნიორს, მის ხელშეკრულებასთან, პროდუქციასთან დაკავშირებულ და სხვა ინფორმაციას, გაუგზავნის არა დოკუმენტალურად (ქაღალდზე) არამედ მხოლოდ ბრენდ პარტნიორისათვის პირადად განკუთვნილი ელექტრონული (ელ. ფოსტით, ან ნებისმიერი სხვა) საშუალებებით. ეს, საშუალებას მისცემს ბრენდ პარტნიორს, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შეინახოს ინფორმაცია მისთვის ხელმისაწვდომ და უცვლელ მდგომარეობაში.

13.6. წინამდებარე პირობების დაცვით გაგზავნილი, ნებისმიერი შეტყობინება, ჩაბარებულად ითვლება, მისი შეკვეთილი ფოსტით გაგზავნის დღიდან. ნებისმიერი სხვა საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება, ჩაბარებულად ითვლება, მისი მიღების თარიღიდან. აღნიშნული არ ეხება, ბრენდ პარტნიორის მხრიდან, პროდუქციის უკან დაბრუნების შეტყობინების წესს. პ. 4.-ის თანახმად, დაბრუნების ვადა აითვლება იმ დღიდან, როდესაც ბრენდ პარტნიორმა ორიფლეიმს აცნობა გადაწყვეტილება -პროდუქტის დაბრუნების თაობაზე.

13.7. ორიფლეიმი თავის ბრენდ პარტნიორებს, ონლაინ სერვისებზე უფასო წვდომის საშუალებას აძლევს (სექცია "ბრენდ პარტნიორები"). ონლაინ-სერვისევით სარგებლობისას აკრძალულია სისატიკის, ძალადობის, რასობრივი სიძულვილის და სხვათა გამოქვეყნება/გავრცელება, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და ორიფლეიმის პოლიტიკებს.

## 14. პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის

როდესაც პირი რეგისტრირდება როგორც ბრენდ პარტნიორი, იგი ეთანხმება, რომ ორიფლეიმი მისი მთავარი ჰოლდინგური კომპანიაა და ნებისმიერ იურიდიულ პირს, რომელიც პირდაპირ ან ირიბად კონტროლირდება ამ ჰოლდინგის მიერ, აგრეთვე უფლბამოსილ მესამე მხარეებს (ბრენდ პარტნიორები, პროდუქციის და მომსახურებების მომწოდებლები), შეუძლიათ ორიფლეიმის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის შესაბამისად, შეინახონ, გამოიყენონ და დაამუშავონ (მ.შ. ავტომატური საშუალებების გამოყენებითაც) პირადი მონაცემები.

## 15. უკუკავშირი

16.1 ზემოაღნიშნულ პირობებთან დაკავშირებით, ნებისმიერი კითხვების წარმოშობის შემთხვევაში, ბრენდ პარტნიორს შეუძლია მიმართოს შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: info@oriflame.ge, ან დარეკოს შემდეგ ტელეფონის ნომერზე: +995 32 2911 064.

16.2. ქვემოთ მოცემულია დამატებითი აქტუალური ინფორმაცია შპს “ორიფლეიმ ჯორჯიას შესახებ”.

| | |
|---|---|
| დასახელება: | შპს “ორიფლეიმ ჯორჯია” |
| მისამართი: | საქართველო, თბილისი, 0102, დავით აღმაშენებლის გამზ. 61 |
| საკონტაქტო ინფორმაცია: | +995 32 2911064<br><br>e-mail: info@oriflame.ge |
| საიდენტიფიკაციო ნომერი: | 202166459 |

ბოლო განახლების თარიღი: 04.09.2020.